ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4847630

ნომერი: AR1731154

თარიღი : 28.01.2020

გაცემის თარიღი : 04.02.2020

გაცნობის თარიღი : 07.02.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, N 12ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ვერულავა პ/ნ 01017002908
- თბილისი მ.ბროსეს ქ. N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2020 წლის 28 იანვარს თქვენს მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი №AR1731154 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, N12ა შპს „ ანა “-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ბენზინ გასამართი სადგურის რეკონსტრუქციაზე თანხმობას. ამასთან, აღნიშნულს ითხოვთ I კლასს დაქვემდებარებული შენობა–ნაგებობების მშენებლობა/განთავსებისთვის დადგენილი წესით.

გაცნობებთ რომ „ბენზინ გასამართი პუნქტი“, ანალოგიურად ბენზინ გასამართი სადგურისა, განეკუთვნება IV კლასს დაქვემდებარებულ შენობა–ნაგებობებს, წარმოდგენილი საპროექტო სამუშაოებით, ფართის ცვლილებით ხდება იმ სახის რეკონსტრუქცია რაც საჭიროებს საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას სამივე სტადიით, რომელთაგანაც I სტადიაზე, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანო, ჩართული უნდა იქნას სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თქვენი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.